



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030445725486714

№ 04-71/ო

28 / მარტი / 2014 წ.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების მიღება-ჩაბარების, შენახვისა და მათი მოძრაობის ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) მოთხოვნათა გათვალისწინებით, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-4 მუხლისა და 23-ე მუხლის 4¹ პუნქტის, „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმის, მისი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 17 მარტის N01-19/ნ ბრძანების და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს:

ა) საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების მიღება-ჩაბარების, შენახვისა და მათი მოძრაობის ორგანიზების წესი (დანართი N1);

ბ) შეუვსებელი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების გაცემის სპეციალური აღრიცხვის ჟურნალის ფორმა (დანართი N2);

გ) გამოსაყენებლად უვარგისი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების დაბრუნების სპეციალური აღრიცხვის ჟურნალის ფორმა (დანართი N3).

2. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ადმინისტრაციას (გ. გოგოლაძე), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გაგზავნა საყოველთაო ჯანდაცვის დაცვის მართვის დეპარტამენტისათვის, რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისათვის, აგრეთვე, საჯარო გაცნობის მიზნით, სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება;

ბ) სააგენტოს საყოველთაო ჯანდაცვის მართვის დეპარტამენტს (რ. გოგოლაშვილი), ყველა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებების ინფორმირება, წინამდებარე ბრძანების გაცნობის მიზნით.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნოე ქინქლაძე

ნ. გ. გოგოლაძე

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების მიღება-ჩაბარების, შენახვისა და მათი მოძრაობის ორგანიზების წესი

მუხლი 1.

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის: „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმის, მისი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 17 მარტის N01-19/5 ბრძანების შესაბამისად და განსაზღვრავს სსიპ - სოციალური მოსახურების სააგენტოში საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების (შემდგომში – მკაცრი აღრიცხვის ფორმა) მიღება-ჩაბარების, შენახვისა და მათი მოძრაობის ორგანიზების პირობებს.

2. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) სააგენტო – სსიპ - სოციალური მოსახურების სააგენტო;
- ბ) დეპარტამენტი – სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტი;
- გ) სამმართველო – სააგენტოს ლოჯისტიკის დეპარტამენტის სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველო;
- დ) ტერიტორიული ერთეული – სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალი და რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრები.

მუხლი 2.

1. დაბეჭდილი (ტირაჟირებული) და შეუვსებელი მკაცრი აღრიცხვის ფორმები ინახება სააგენტოს სამმართველოში, რომელიც უზრუნველყოფს შეუვსებელი და გაუნაწილებელი მკაცრი აღრიცხვის ფორმების შენახვას სპეციალურად გამოყოფილ და სათანადოდ დაცულ ადგილას.

2. შეუვსებელი მკაცრი აღრიცხვის ფორმების განაწილებას (დარიგებას) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებებისათვის და/ან ტერიტორიული ერთეულისათვის უზრუნველყოფს დეპარტამენტი, მისი უფლებამოსილი თანამშრომლის (თანამშრომლების) მეშვეობით.

3. დეპარტამენტის მიერ, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის საშუალებით განხორციელებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, სამმართველო გამოყოფს მოთხოვნილი რაოდენობის შეუვსებელი მკაცრი აღრიცხვის ფორმებს და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, გადასცემს მათ დეპარტამენტს. მიღება-ჩაბარების აქტში ზუსტად უნდა იყოს მითითებული გაცემული/მიღებული მკაცრი აღრიცხვის ფორმების რაოდენობა და მათი ნუმერაცია, ხელმომწერ პირთა ვინაობა (სახელი და გვარი), თანამდებობა და აქტის გაფორმების თარიღი.

4. დეპარტამენტი პასუხისმგებელია შეუვსებელი მკაცრიალრიცხვისფორმების სათანადოდდაცვაზე, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებების და/ან ტერიტორიული ერთეულისათვის გადაცემამდე.

5. შეუვსებელი მკაცრიალრიცხვისფორმების შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებებისათვის გადაცემისას, მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) მხარეთა რეკვიზიტები;

ბ) ხელმოწერი უფლებამოსილი პირების სახელი, გვარი და თანამდებობა. იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო დაწესებულება წარმოდგენილია მესამე პირის სახით, მიღება-ჩაბარებისაქტს თან უნდა დაერთოს შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა (რწმუნებულება) ან მისი ასლი, რაც იძლევა ამ პირის იდენტიფიცირების საშუალებას;

გ)გადაცემული/მიღებულიმკაცრიალრიცხვისფორმების რაოდენობა და მათი ნუმერაცია;

დ) მკაცრი აღრიცხვის ფორმების გადაცემის/მიღების თარიღი და მხარეთა ხელმოწერები;

ე)სხვანაირფორმაცია,რაცუკავშირდება მკაცრიალრიცხვისფორმების გადაცემას/მიღებას და მხარე (მხარეები) მიზანშეწონილად მიიჩნევს მის ასახვას აქტში.

6. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, დეპარტამენტი უზრუნველყოფს მკაცრიალრიცხვისფორმებისთითოეულისამედიცინოდაწესებულებებისათვის გადაცემის ყველა შემთხვევის ცალ-ცალკე ასახვას „შეუვსებელი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების გაცემის სპეციალური აღრიცხვის ჟურნალში“ (დანართი N2).

7. შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებებისათვის შეუვსებელი მკაცრიალრიცხვისფორმების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, დეპარტამენტი უზრუნველყოფს მკაცრიალრიცხვისფორმების გადაცემას სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებისათვის. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დეპარტამენტსა და შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც უნდა შეიცავდეს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს.

8. სააგენტოს ტერიტორიული ერთეულისათვის შეუვსებელი მკაცრიალრიცხვისფორმების გადაცემისას, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, დეპარტამენტი უზრუნველყოფსმკაცრიალრიცხვისფორმების თითოეული ტერიტორიული ერთეულისათვის გადაცემის ყველა შემთხვევის ცალ-ცალკე ასახვას „შეუვსებელი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების გაცემის სპეციალური აღრიცხვის ჟურნალში“ (დანართი N2).

9. სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის მიერ ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიღებული მკაცრიალრიცხვისფორმების გაცემა (დარიგება) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებებისათვის წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელიც უნდა შეიცავდეს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, ტერიტორიული ერთეული უზრუნველყოფს მკაცრიალრიცხვისფორმების თითოეული სამედიცინო დაწესებულებისათვის გადაცემის ყველა შემთხვევის ცალ-ცალკე ასახვას „შეუვსებელი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად

სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების გაცემის სპეციალური აღრიცხვის ჟურნალში“ (დანართი N2).

10. ტერიტორიული ერთეულის მიერ გაცემული მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პერიოდულობას განსაზღვრავს დეპარტამენტი.

მუხლი 3.

1. შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გამოსაყენებლად უვარგისი მკაცრი აღრიცხვის ფორმების დაბრუნება დეპარტამენტისათვის და/ან ტერიტორიული ერთეულისათვის წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. ამ პუნქტით გთვალისწინებულ შემთხვევაში, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი უნდა შეიცავდეს:

ა) მხარეთა რეკვიზიტებს;

ბ) ხელმოწერი უფლებამოსილი პირების სახელს, გვარს და თანამდებობას. იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო დაწესებულება წარმოდგენილია მესამე პირის სახით, მიღება-ჩაბარების აქტს თან უნდა დაერთოს შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა (რწმუნებულება) ან მისი ასლი. მინდობილობა (რწმუნებულება) უნდა იძლეოდეს პირის იდენტიფიცირების საშუალებას;

გ) დაბრუნებული მკაცრი აღრიცხვის ფორმების რაოდენობა და მათი ნუმერაცია სრულად;

დ) მკაცრი აღრიცხვის ფორმების დაბრუნების თარიღი და მხარეთა ხელმოწერები;

ე) სხვა ინფორმაცია, რაც უკავშირდება გამოსაყენებლად უვარგისი მკაცრი აღრიცხვის ფორმების დაბრუნებას და მხარე (მხარეები) მიზანშეწონილად მიიჩნევენ მის ასახვას აქტში.

2. ამ წესის მიზნებისათვის გამოსაყენებლად უვარგისია მკაცრი აღრიცხვის ფორმები:

ა) შევსების დროს დაშვებული შეცდომებისგამო;

ბ) ბლანკის დაზიანების გამო;

გ) საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სპეციალურ ელექტრონულ მოდულში რეგისტრაციის შეუძლებლობის შემთხვევაში შევსებული მკაცრი აღრიცხვის ფორმა.

3. გამოსაყენებლად უვარგისი მკაცრი აღრიცხვის ფორმების დაბრუნებისას, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, დეპარტამენტი და/ან ტერიტორიული ერთეული უზრუნველყოფს მკაცრი აღრიცხვის ფორმების თითოეული სამედიცინო დაწესებულების მიერ დაბრუნების ყველა შემთხვევის ცალ-ცალკე ასახვას „გამოსაყენებლად უვარგისი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების დაბრუნების სპეციალური აღრიცხვის ჟურნალში“ (დანართი N3).

4. ტერიტორიული ერთეული, სამედიცინო დაწესებულებებიდან გამოსაყენებლად უვარგისი მკაცრი აღრიცხვის ფორმების მიღებისას, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით და, გამოსაყენებლად უვარგისი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების დაბრუნების სპეციალური აღრიცხვის ჟურნალში“ (დანართი N3) გატარებით, აღნიშნულ მკაცრი აღრიცხვის ფორმებს გადასცემს დეპარტამენტს.

5. დეპარტამენტი ტერიტორიული ერთეულებიდან გადმოცემულ და/ან სამედიცინო დაწესებულებიდან მიღებულ, გამოსაყენებლად უვარგისი მკაცრი აღრიცხვის ფორმებს, ამ

მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით და „გამოსაყენებლად უვარგისისაყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების დაბრუნების სპეციალური აღრიცხვის ჟურნალში“ (დანართი N3) გატარებით, გადასცემს სამმართველოს, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ამ ფორმების სათანადო შენახვას და დაცვას, კანონდებლობით გათვალისწინებული შემდგომი ქმედებების განხორციელებამდე.

6. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმური ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში მომსახურების შეწყვეტას, სამედიცინო დაწესებულება აბრუნებს მის მიერ გამოუყენებელმკაცრი აღრიცხვის ფორმებს. ამ შემთხვევაში, მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელშიც, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეკვიზიტების გარდა, აღნიშნული უნდა იყოს გამოუყენებელი ფორმების დაბრუნების ფაქტი და მისი მიზეზი. მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად, დეპარტამენტი ან ტერიტორიული ერთეული ავსებს „გამოსაყენებლად უვარგისისაყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების დაბრუნების სპეციალური აღრიცხვის ჟურნალს“ (დანართი N3) და გრაფაში - „შენიშვნა“ აკეთებს შესაბამის ჩანაწერს.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაბრუნებული მკაცრი აღრიცხვის ფორმები ისევ გაიცემა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაზე, ამ წესის შესაბამისად.

მუხლი 4.

1. ამ წესით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება მინიმუმ ორ ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

2. ყოველ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტით და შესაბამის ჟურნალში (დანართი N2 ან დანართი N3) გაკეთებული ჩანაწერი უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს. დაუშვებელია, ამ ორ დოკუმენტში მითითებულ მონაცემებს შორის (მკაცრი აღრიცხვის ფორმების რაოდენობა, მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუმერაცია, მიღება-გაცემის თარიღი და ა.შ.) არსებობდეს განსხვავებები.

3. ამ წესის მიზნებისათვის ნუმერაციის მითითებისას, გამოიყენება შემდეგი წესი:

ა) იმ შემთხვევაში, როდესაც მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუმერაცია უწყვეტია, მასში ხდება ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი ნომრის მითითება და ამ ორ ციფრს შორის დაისმება ტირე, რაც გულისხმობს, რომ გადაცემული/მიღებული მკაცრი აღრიცხვის ფორმები მოიცავს ყველაზე დაბალსა და ყველაზე მაღალ ნომრებს შორის არსებულ ყველა ნომერს, თვით ამ ნომრების (დაბალი და მაღალი) ჩათვლით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ გადაცემული/მიღებული მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუმერაცია არ არის უწყვეტი, მაშინ ყველა მკაცრი აღრიცხვის ფორმა ეთითება დამოუკიდებლად, ინდივიდუალური ნომრების მითითებით.